პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ოთხშაბათი
8 მაისი
1940 წ.
№ 104 (5805)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სადღა არის ვალდებულებათა შესრულება?

ფინეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც სსრ კავშირის ხელში გადმოვიდა, დიდი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული. ქალაქებსა და დაბებში ხდება სახლების აღდგენა, ქუჩების კეთილმოწყობა. საწარმოებში ასობით და ათასობით ადამიანები მუშაობენ და წესრიგში მოჰყავთ ეს საწარმოები. საქმე მათ ბევრი აქვთ.

უნდა ითქვას, რომ საზავო ხელშეკრულების პირობების წინააღმდეგ ფინელებს ცოტა შრომა როდი გაუწევიათ იმისათვის, რომ დაენგრიათ ის ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც ამიერიდან საბჭოთა ტერიტორიაზე იმყოფება. ფინეთის ხელისუფალნი საწარმოების გადმოცემამდე ყოველნაირად ცდილობდნენ გაეფუჭებინათ ისინი.

ამ მხრივ ყველაზე განსაცვიფრებელი სურათი შეიძლება კაცმა ნახოს კექსჰოლმის ცელულოზის ქარხანაში. როდესაც საამქროებში დაიხარ და განადგურების მთელ ამ ქაოსს ხედავ, გგონია, რომ აქ ბარბაროსთა ურდოს უმოქმედნია. ბევრი მანქანა დამტვრეულია სანგებით და ჩაქუჩებით. დივერსანტები იშვიათი გაფთრებით თარეშობდნენ, აშკარა სურვილი ჰქონდათ სავსებით გამოეყვანათ ქარხანა მწყობრიდან. თვით ხასიათი განადგურებისა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ იგი წინასწარ განზრახვით ხდებოდა და უკანასკნელ დღეებში ფინელების წასვლის წინ, ე. ი. საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ. დივერსანტების ანგარიში მარტივი იყო: ეგებ, ყოველივე ეს დაბრალდეს საჰაერო ბომბარდირებას და არტილერიის სროლასო. მაგრამ ეს განზრახვა აშკარად ჩანს — კექსჰოლმთან ომის დროს არავითარი საბრძოლო ოპერაცია არ ყოფილა.

აი, დანგრევათა მოკლე და არასრული სია: სრულიად განადგურებულია ელექტროსადგური, დანგრეულია საქვაბის შენობა და მისი 100 მეტრის სიმაღლის საკვამლე მილი, წაღებულია საქვაბის არმატურა, ოთხასზე მეტი მოტორი, ტუმბოების უმეტესობა, მთელი მჟავგამძლე არმატურა და მჟავგამძლე მილები. საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები ან წაღებულია, ან გაფუჭებული.

დამახასიათებელი დეტალი, რომელიც მთლიანად ამჟღავნებს ნგრევის ორგანიზატორებს: სახარში განყოფილების სახურავსა და ზედა სართულებს დაზიანებული არაფერი აქვთ, მაშინ როდესაც **ქვედა** სართული ძლიერ დანგრეულია (იხ. № 1 სურათი) *). ეს იმას ნიშნავს, რომ საამქრო მწყობრიდან გამოუყვანია **შიგნით ქვევიდან** მოწყობილ აფეთქებას. დივერსანტებმა ააფეთქეს ოთხი სახარში ქვაბის **ქვედა** ხახები (იხ. № 2 სურათი) *). საშრობ განყოფილებაში აფეთქებულია ხუთი **ქვედა** საშრობი ცილინდრი. შიგნით მოწყობილი აფეთქებით განადგურებულია სატურბინო დარბაზი და ტურბინები (იხ. № 3 სურათი) *).

ჯარის იმ ნაწილის სარდლობა, რომელმაც ზავის დადების შემდეგ კექსჰოლმი დაიკავა, თითქმის ქარხნის ყველა საამქროში აღმოაჩინა ფინელების მიერ ჩაწყობილი ნაღმის კოჭები, რომლებიც, როგორც ჩანს, მხოლოდ დროის უქონლობის გამო ვერ გამოუყენებიათ. კექსჰოლმში წითელი არმიის ყოფნის პირველ დღეებში ჩვენმა მესანგრეებმა ქარხნის ტერიტორიიდან გამოიტანეს დაახლოებით 500 კილოგრამი ფეთქებადი ნივთიერებანი; ეს რაოდენობა საკმარისი იყო იმისათვის, რომ მთელი ქარხანა ნაცარტუტად ექციათ.

ფინეთიდან გადმოსულებმა გვიამბეს, თუ როგორ იყო მოწყობილი ყოველივე ეს: დაიდო თუ არა ზავი, შუცკორელებმა მაშინვე შექმნეს სპეციალური რაზმები, რომელნიც შეუდგნენ საქარხნო მოწყობილობის მოსპობასა და ქალაქში საცხოვრებელი სახლების ნგრევას. კექსჰოლმის ქუჩებში ახლაც ვნახულობთ შიშველ მილებს, ნანგრევებს, დახეთქილ კედლებს. ეს შუცკორელთა ნაღმების შედეგია.

ასე ბარბაროსულად გამოიყვანეს მწყობრიდან დიდი ქარხანა, რომელსაც 100 ათასი ტონა საუკეთესო პირველხარისხოვანი გათეთრებული ცელულოზა უნდა გამოეშვა, ასე ბარბაროსულად ანგრევდნენ ქალაქს.

კექსჰოლმი გამონაკლისს როდი შეადგენს. გაემგზავრეთ ჰარლუს, ლიასკელას და თქვენ იმავე სურათს ნახავთ. ჰარლუში ცელულოზ-ქაღალდის კომბინატში აფეთქებულია საამქროთა შენობები, დანგრეულია ღუმელები, დამწვარია ჰიდროსადგურის გენერატორი. ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი ჰარლუში და ქაღალდის ფაბრიკა ლიასკელაში ნახევრად დანგრეულია და გამოყვანილია მწყობრიდან.

ყოველივე ეს ისევე, როგორც კექსჰოლმში, ჩადენილია ზავის დადების შემდეგ; ეს შუცკორელთა ბანდების ნასაქმარია.

ზედ საზღვარზე, იმატრის ჩანჩქერის მახლობლად, არის ცნობილი კომბინატი ენსო, რომელიც ქაღალდისა და ცელულოზის უდიდესი საწარმოა. მისი წარმოებიანობა უდრის 80 ათას ტონა პირველი ხარისხის გათეთრებულ ცელულოზს, 80 ათას ტონა კრაფტ-ცელულოზს, 30 ათას ტონა სპეციალურ ხარისხოვან მუყაოს, მათ შორის სამშენებლოსაც, 2.500 ტონა ქაღალდს.

ენსო ხელშეკრულების თანახმად ჩვენს ხელში გადმოვიდა. ამ უმდიდრესი საწარმოს შეიძლება სრული უფლებით ეწოდოს კარელიის ყელის მარგალიტი.

პირველი შეხედვით კომბინატს არაფერი აქვს დაზიანებული. დანგრევის კვალი გარედან არ ემჩნევა. თუ კექსჰოლმში, ჰარლუში, ლიასკელაში ბარბაროსთა ურდო მოქმედებდნენ, აქ გულმოდგინედ და მოფიქრებულად უმუშავნიათ დახელოვნებულ, ანგარიშიან მავნებლებს.

ენსო ომისაგან არ დაზიანებულა. საწარმოები შეიძლებოდა სავსებით გამართული გადმოგვცემოდა. მაგრამ აქაც მიმავალმა ფინელებმა გადაწყვიტეს ყოველმხრივ გაეფუჭებინათ საქმე ჩვენთვის. მოხსნილი და გატანილია ორთქლის და ელექტრონის საქვაბეთა არმატურა, სამანქანო დარბაზისა და განმანაწილებელი მოწყობილობის საზეთურები, მოძრობილია გენერატორთა სალტეები, მოხსნილია საკისარები და ტურბინების რეგულატორები, მოხსნილია მასის ტუმბოთა მოტორები და მნიშვნელოვანი რაოდენობის საკონტროლო-საზომი აპარატურა, გატანილია სულფიტის ცელულოზის სახარში ქვაბების არმატურა, მემბრანის დამხარისხებელთა ბრინჯაოს საცერები, პრესპატების გრძნოვი ლილვები, პრესპატების რედუქტორთა კბილანები, მექანიკური სახელოსნოს ყველა ჩარხები. სახარშ განყოფილებაში მოხსნილია არმატურა და ზანდბერგის აპარატურა. საშრობ კორპუსში მოხსნილია კამირ-მანქანის თავები. წინასწარი გამოანგარიშებით, კომბინატიდან სულ მოხსნილია და წაღებულია დაახლოებით ათასი მოტორი. სადღაც საიდუმლოდ გამქრალა მანქანა, რომელიც უშვებდა მუყაოს „ენსონიტს". უნდა აღინიშნოს განსაკუთრებით, რომ განზრახ არის გატანილი **უნიკალური** მოწყობილობა, ესე იგი ისეთი მოწყობილობა, რომელიც თავის დროზე სპეციალურად ამ საწარმოსთვის გაუკეთებიათ. რა თქმა უნდა, დივერსანტები ამასთან იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, რომ ასეთი მოწყობილობის აღდგენა განსაკუთრებით ძნელი იქნებოდა.

ქარხნის განადგურება, უეჭველია, ხდებოდა სულ უკანასკნელ მომენტში, ე. ი. საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ. მოწყობილობას იტაცებდნენ იმ ვარაუდით, რომ დანგრევის კვალი ადამიანს თვალში ძალიან არ მოხვედროდა, მაგრამ იმავე დროს კომბინატი ფაქტიურად გამოყვანილი ყოფილიყო მწყობრიდან. როდესაც ენსოში ჩვენი ჯარის ნაწილები შევიდნენ, საამქროებში ჯერ კიდევ იყო ხარახოები, — მანქანები წაიღეს, ხარახოების დაშლა კი ვერ მოასწრეს: არ ეცალათ.

მნახველნი გვიამბობენ, რომ, როდესაც წითელმა არმიამ სადგური ენსო დაიკავა, საზღვარს გადაღმა შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა ქარხნის მოწყობილობათა გროვა.

ქარხანა გაჰქურდეს დიდი გულმოდგინეობით და საკმაოდ ეშმაკურადაც — უწინარეს ყოვლისა წაიღეს უნიკალური ნაწილები, ანადგურებდნენ უაღრესად ძვირფას დეტალებს.

როგორც ვიცით, სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დადებული ხელშეკრულების ოქმი, რომელიც 13 მარტს გამოქვეყნდა, ამბობს:

„ორივე მხარის სარდლობა ვალდებულებას კისრულობს სახელმწიფო საზღვარს იქით ჯარის უკან დაწევის დროს მიიღოს საჭირო ზომები ქალაქებსა და ადგილებში, რომლებიც მეორე მხარის ხელში გადადის, მათი დაცვისათვის და ჯეროვანი ზომები მიიღოს იმისათვის, რომ ქალაქები, დაბები, თავდაცვითი და სამეურნეო ნაგებობანი (ხიდები, კაშხალები, აეროდრომები, ყაზარმები, საწყობები, რკინიგზის კვანძები, სამრეწველო საწარმონი, ტელეგრაფი, ელექტროსადგურები) დაცულ იქნას დაზიანებისა და განადგურებისაგან".

ბუნებრივად იმის კითხვა: ვინ მისცა ფინეთის ხელისუფალთ უფლება ესოდენ მოურიდებლად და თავხედურად დაერღვიათ საზავო ხელშეკრულების პირობები?

როდესაც ჩვენი სარდლობა, ხელშეკრულების თანახმად, ფინელებს პეტსამოს უბრუნებდა, ყველაფერი სანიმუშო წესრიგში იყო მოყვანილი — მინებიც კი ჩასვეს სახლებში და ქუჩებიც დაჰგავეს. ფინელებისათვის პეტსამოს გადაცემის აქტში, რომელიც ხელმოწერილია წითელი არმიის რწმუნებულთა მიერ და ფინეთის არმიის რწმუნებულების მიერ და რომელიც გამოქვეყნებულ იქნა, ნათქვამია: „ამ აქტის ხელისმომწერი ორივე მხარე აღნიშნავს, რომ წითელი არმიის სარდლობამ აღადგინა პეტსამოში სატელეფონო-სატელეგრაფო სადგური, ორი ელექტროსადგური, ელექტროქსელი, წყალსადენი, მთელი რიგი სახლების ორთქლით გათბობა, ხოლო ლიინაჰამარის ნავსადგურში — ნავსაბმელები და რომ მთელი ეს საწარმოები ფინეთის არმიის წარმომადგენლებს სამუშაოდ გამართული გადაეცათ".

იბადება კითხვა, მაშ სსრ კავშირისათვის გადასაცემ ტერიტორიაზე ფინეთის სარდლობამ რატომ დართო ნება ეწარმოებინათ თავხედური, დივერსიული მუშაობა? სადღა არის ფინეთის ხელისუფლების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება?

„პრავდა" 7 მაისი.

---

*) „პრავდაში" მოთავსებულია სათანადო ფოტოსურათი.

ლენინის ქალაქის ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადა

ბავშვთა შემოქმედების კონცერტს დაესწრო ამხ. ა. ა. ჟდანოვი

ლენინგრადი, 6 მაისი (საკდესი). დღეს ფილარმონიის დიდ დარბაზში შესდგა ლენინის ქალაქის ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადის უკანასკნელი ტურის პირველი კონცერტი.

ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო 180 ათასზე მეტმა ბავშვმა. გულდასმითი შერჩევის შედეგად ოლიმპიადის მე-3, უკანასკნელ ტურში გავიდა მომღერალთა 35 კოლექტივი, 12 დრამატიული წრე, ხალხური საკრავების 5 ორკესტრი, 800-ზე მეტი წამკითხველი, მოცეკვავე, მომღერალი და მუსიკოსი.

კონცერტს დაესწრნენ: ამხ. **ა. ა. ჟდანოვი,** საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივნები ამხ. **კუზნეცოვი და მახანოვი,** საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები—**მიხაილოვი და რომანოვი,** ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **პოპკოვი.**

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

ამ დღეებში ამხ. **ნ. მ. შვერნიკის** თავმჯდომარეობით შესდგა პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა იმ დამახინჯებათა საკითხი, რომლებიც ფერადი ლითონების დამმუშავებელ მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაუშვა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

ფერადი ლითონების დამმუშავებელ მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, იმის ნაცვლად, რომ ოპერატიული ხელმძღვანელობა გაეწია საქარხნო კომიტეტებისათვის და დახმარებოდა სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში, ამ საქმეს კანცელარიულად მიუდგა; მან „კავშირის ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა" სახით გამოსცა ისეთი დეკლარაცია, რომელიც არავის და არაფერს არ ავალდებულებს. კავშირის ცენტრალური კომიტეტი თავის ძირეული პროფორგანიზაციებისაგან მოითხოვდა, რომ მათ ურთიერთშორის მოეწყოთ სოციალისტური შეჯიბრება იმაში, რომ პროფკავშირის [illegible] მომუშავე მუშები, დაეწინაურებინათ პროფაქტივისტები, მოეწყოთ მასობრივი კონტროლი და სხვ. რითაც მან საქარხნო კომიტეტების ყურადღება ჩამოაშორა მუშათა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეს.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში დაშვებული ასეთი ბიუროკრატიული დამახინჯების შედეგად მუშათა ბევრი ხელშეკრულება (კოლჩუგინის ქარხანაში, ქარხანა „სევკაბელში", „მეტალორუკავში" და სხვ.) არ შეიცავს კონკრეტულ ვალდებულებებს, ქარხკომები არ აწყობენ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმებას, პროფჯგუფები არა მარტო არ ჩასდგომიან სათავეში მუშათა სოციალისტურ შეჯიბრებას, არამედ ზოგიერთი მათგანი თვითონაც არ იღებს მონაწილეობას ამ შეჯიბრებაში.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ფერადი ლითონების დამმუშავებელ მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება კავშირის ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესახებ და მიუთითა მას, რომ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ყოველდღიური კონკრეტიული დახმარება გაუწიოს საქარხნო კომიტეტებს, რათა დარაზმონ მუშები საწარმოო პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად. (საკდესი).

პულკოვოს ობსერვატორიის 100 წლისთავის დღესასწაული

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა პულკოვოს მთავარი ასტრონომიული ობსერვატორიის დაარსების 100 წლისთავის დღესასწაულის პროგრამა.

3-დან 6 ივნისამდე ლენინგრადში მოწვეული იქნება აკადემიის საზეიმო სხდომა, რომელიც იუბილეს მიეძღვნება. მოსმენილი იქნება მთელი რიგი სამეცნიერო მოხსენებანი. ობსერვატორიის დირექტორი—აკადემიის წევრი — კორესპონდენტი ს. ი. ბელიავსკი გააკეთებს მოხსენებას ობსერვატორიის მუშაობის ძირითადი ეტაპების შესახებ. აკადემიკოსი ვ. გ. ფესენკოვი თავის მოხსენებას მიუძღვნის თემას „ასტრონომია და კულტურა". აკადემიის წევრი-კორესპონდენტი გ. ა. ტიხოვი გამოვა ინფორმაციით: „პულკოვოს ასტროფიზიკის ისტორია". ობსერვატორიის უხუცესი თანამშრომელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ფ. ფ. რენცი გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „ობსერვატორიაში მუშაობის 54 წელი". (საკდესი).

მედიცინის მუშაკთა დაჯილდოება

ჰოსპიტლებში წითელი არმიის მებრძოლთა მაღალკვალიფიციური მომსახურების ორგანიზაციისა და დაყენების საქმეში მთავრობის დავალების წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარმა ამხ. გ. ა. მიტერევმა მადლობა გამოუცხადა სამედიცინო მუშაკთა დიდ ჯგუფს და დააჯილდოვა ისინი საპატიო ნიშნით „ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებული". ამ ჯგუფში შედიან ქ. მოსკოვის, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის, მოსკოვის, კალინინის, ვორონეჟის, როსტოვისა და კუიბიშევის ოლქების ექიმები, ჰოსპიტლების უფროსები, ორდინატორები, სამედიცინო და საოპერაციო დარგის დები. (საკდესი).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

პ. ი. ჩაიკოვსკის დაბადების ასი წლისთავის აღნიშვნისა და მისი ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ი. ჩაიკოვსკის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინა:**

1. დაიდგას 1942 წელს პ. ი. ჩაიკოვსკის ძეგლი ქ. მოსკოვში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა მოაწყოს ძეგლის დაპროექტების კონკურსი.

2. დაევალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტს გამოსცეს პ. ი. ჩაიკოვსკის მუსიკალურ და ლიტერატურულ ნაწარმოებთა კრებული იმ ანგარიშით, რომ პირველი სამი ტომი გამოვიდეს 1940 წლის აგვისტოსათვის, აგრეთვე გამოსცეს პ. ი. ჩაიკოვსკის რჩეული ნაწარმოებნი.

3. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტს პ. ი. ჩაიკოვსკის სახელი მიაკუთვნოს:

ქ. ვოტკინსკის მუსიკალურ სასწავლებელს,
ქ. კლინის მუსიკალურ სკოლას,
ქ. მოსკოვში ახლად აშენებულ საკონცერტო დარბაზს.

4. წინადადება მიეცეს მოსკოვის საქალაქო აღმასკომს ნოვინსკის ბულვარს დაარქვას პ. ი. ჩაიკოვსკის ქუჩა.

5. დაწესდეს პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის 400-მანეთიანი 10 სტიპენდია კონსერვატორიების საკომპოზიტორო ფაკულტეტებზე, აქედან:

მოსკოვის კონსერვატორიაში — 3 სტიპენდია,
ლენინგრადის კონსერვატორიაში — 3 სტიპენდია,
კიევის კონსერვატორიაში — 2 სტიპენდია,
თბილისის კონსერვატორიაში—2 სტიპენდია.

6. დაევალოს კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატს გამოუშვას 1940 წელს საიუბილეო საფოსტო მარკები პ. ი. ჩაიკოვსკის სურათით. (საკდესი).

დიდი კომპოზიტორის ხსოვნას

კლინი, 6 მაისი (საკდესის სპეცკორი). დღეს კლინში სადღესასწაულო გამოცოცხლებაა. ქალაქი, სადაც ცხოვრობდა და ჰქმნიდა პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკი, გენიალური რუსი კომპოზიტორის დაბადების 100 წლისთავს აღნიშნავს. დღესასწაულზე ჩამოსულია მრავალი სტუმარი — საბჭოთა მუსიკალური საზოგადოებრიობის, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. სტუმრებს შორის არიან კომპოზიტორები — გლიერი, ძერჟინსკი, დუნაევსკი, შაპორინი, დ. პოკრასი, ხრენიკოვი, მურადელი, ხაჩატურიანი, რევუცკი, ჩაიკოვსკის დისწულები ი. ლ. და ა. ლ. დავიდოვები, რიმსკი-კორსაკოვის ქალ-ვაჟი.

ჩაიკოვსკის სახლ-მუზეუმში შესდგა საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის ორგკომიტეტის პლენუმის საზეიმო სხდომა. იმ ოთახებიდან, სადაც რუსული მუსიკის დიდი კლასიკოსი თავის შესანიშნავ მეექვსე სიმფონიას ჰქმნიდა, რადიო გადაცემა სწარმოებდა მთელი საბჭოთა კავშირისათვის, შესავალი სიტყვა წარმოსთქვა კომპოზიტორმა ი. ა. შაპორინმა. შემდეგ მიკროფონთან გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი რ. მ. გლიერი.

სახლ-მუზეუმის დირექტორმა ამხ. ა. ე. უსოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იზრდება მუზეუმის პოპულარობა ხალხში.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა საიუბილეო კონცერტი, რომელიც შედგენილი იყო ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან.

პ. ი. ჩაიკოვსკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საიუბილეო საღამო-კონცერტი

გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში შესდგა დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ი. ჩაიკოვსკის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

მხატვრულად გაფორმებულ სცენაზე პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან: საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. **ი. თავაძე,** საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. **ა. მირცხულავა,** საქ. სსრ განსახკომისარი ამხ. **გ. კიკნაძე,** ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. **ბ. გოგუა,** საქ. სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი **შ. დადიანი, ირ. აბაშიძე, დ. გამრეკელი, ე. სოხაძე, ნ. ცომაია, გ. კილაძე, შ. აზმაიფარაშვილი, ო. შულგინა, ა. გველესიანი, ი. ტუსკია, მ. თოიძე, ა. თულაშვილი, ა. ვირსალაძე, მ. ბახტაძე** და სხვ.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ კომპოზიტორმა **ივ. გოკიელმა.** ორდენოსანი დირიჟორის **შ. აზმაიფარაშვილის** წინადადებით კრებამ მქუხარე ოვაციით საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ხალხთა საყვარელი ბელადი და მასწავლებელი დიდი **სტალინი** და ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ი. კალინინი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერნიკი, კ. ნ. ჩარკვიანი** და **ვ. მ. ბაქრაძე.**

პ. ი. ჩაიკოვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა თბილისის კონსერვატორიის დოცენტი **პ. ხუჭუა.**

კრება დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესახებ გენიალური რუსი კომპოზიტორის ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომლითაც წესდება ჩაიკოვსკის სტიპენდიები კონსერვატორიებში (მათ შორის 2 სტიპენდია თბილისის კონსერვატორიაში).

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომლის პროგრამა პ. ი. ჩაიკოვსკის ნაწარმოებებისაგან შესდგებოდა.

კონცერტში მონაწილეობდნენ: საქ. სსრ დამსახურებული არტისტი ს. ინაშვილი, მსახიობები—ე. სოხაძე, დ. ანდღულაძე, მ. ნაკაშიძე, ვ. გუსელნიკოვი, თ. ბახტაძე, პროფ. ა. ვირსალაძე, დოც. პოლოსკოვი, დოც. მ. ევთიშვილი, დოც. ლ. შიუკაშვილი, გ. ბარნაბიშვილი და საქ. ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი შ. აზმაიფარაშვილის, ო. დიმიტრიადის და ა. გველესიანის დირიჟორობით.

აფხაზეთმა შეასრულა ციტრუსების გაშენების გეგმა

სოხუმი, 7 მაისი (ტელეგრაფით). აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ 3 მაისისათვის ციტრუსების გაშენების გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულა. ციტრუსები დარგულია 2.165 ჰექტარზე.

ციტრუსების რგვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ბჟანია
აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ჭიჭინაძე

ჩაის კრეფა დაიწყო

ბათუმი („კომუნისტის" კორ.). ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 5 მაისს დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. ამ დღეს კრეფაზე გავიდა კოლმეურნეობის 13 ბრიგადა, რომლებმაც მოჰკრიფეს და ფაბრიკას ჩააბარეს 350 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

კოლმეურნეობა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ჩაის კრეფას.

ქ. დოგორჯგინიძე.

ტყიბულ-ქუთაისის გზატკეცილის მშენებლობაზე

(„ტყიბული, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

3 მაისს დაიწყო ტყიბულ-ქუთაისის გზატკეცილის მშენებლობა ფერგანული მეთოდით. მშენებლობის დაწყების პირველ დღეს სამუშაოდ გამოვიდა ტყიბულის რაიონის 1300 კოლმეურნე. მშენებლობაზე კოლმეურნეები მოვიდნენ, როგორც დღესასწაულზე — მუსიკით, სიმღერით, ცეკვით.

ტყიბულის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ლ. ქასრაშვილის ინიციატივით მშენებლობაზე გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს 5 დღის სამუშაო 3 დღეში შეასრულონ. ამ შეჯიბრებაში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს ცუცხვათის ლ. ბერიას სახელობის, ტყიბულის გ. დიმიტროვის სახელობის, საწირის ვ. ბაქრაძის სახელობისა და სოფ. ლაშის კოლმეურნეობებმა. აღებული ვალდებულება მათ პირნათლად შეასრულეს, კლდისა და მიწის სამუშაოები 5 დღის მაგიერ 2-3 დღეში დაამთავრეს.

მშენებლობის დაწყების პირველ და მეორე დღეს სოფ. კურსებისა და გელათის კოლმეურნეებს, რომლებიც გზის მშენებლობაზე მუშაობენ, უჩვენეს ცნობილი კინოფილმი „ლენინი ოქტომბერში". რაიონული გაზეთის „ტყიბულის მაღაროელის" რედაქცია გზის მშენებლობაზე ყოველდღიურად უშვებს ნაბეჭდ ფურცლებს.

მშენებლობას ხელმძღვანელობს საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე.

ამ დღეებში ტყიბულისა და რაჭა-ლეჩხუმის მშრომლები იზეიმებენ საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრთან — ქუთაისთან გზატკეცილით დაკავშირებას.

დ. საბელაშვილი

კედლის გაზეთების რედაქტორთა სწავლება

დაიწყო მეცადინეობა კედლის გაზეთებისა და მუშსოფლკორების მასობრივი სწავლების კურსებზე, რაც ორგანიზებულია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით. ამ კურსებზე მიღებულია ქარხნების, ფაბრიკების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ტრანსპორტისა და წითელი არმიის ნაწილების კედლის გაზეთების 135.000 საუკეთესო რედაქტორი და რედკოლეგიის წევრი.

ჟურნალ „ბოლშევისტსკაია პეჩატის" რედაქციამ გამოუშვა და ადგილებზე დაგზავნა 3 ბროშურა კურსანტებისათვის: „როგორ უნდა ვიმუშაოთ დამოუკიდებლად წიგნით", „მშრომელთა კომუნისტური აღზრდა და კედლის გაზეთების ამოცანები" და „პირველი დავალება რუსულ ენაში".

მეცადინეობის ძირითადი მეთოდი კურსებზე არის დამოუკიდებელი მუშაობა სასწავლო მასალაზე. ადგილებზე კურსანტებისათვის დახმარების გასაწევად, რაიონული გაზეთების რედაქციებთან მოწყობილია კონსულტაციები, რომლებიც ტარდება თვეში 2-ჯერ. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მ. ბ. ხრაპჩენკო (თავმჯდომარე), ა. ვ. სოლოდოვნიკოვი (თავმჯდომარის მოადგილე), ლ. ე. შაპოვალოვი (თავმჯდომარის მოადგილე), ვ. გ. ვდოვიჩენკო, ვ. ნ. სურინი, ვ. ა. შკვარიკოვი, ი. ა. ბურმისტენკო, ვ. პ. ბელერი. (საკდესი).

საზღვარგარეთ

ფინეთის პროპაგანდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს

ნიუ-იორკი, 5 მაისი (საკდესი). „პროპაგანდის საკითხების ამერიკული ინსტიტუტი" სპეციალურ ბიულეტენში დაწვრილებით არჩევს ფინეთის სამხედრო პროპაგანდას. ბიულეტენში ნათქვამია, რომ ფინეთის თეთრგვარდიელებმა ამერიკელი მეგობრების დიდი დახმარებით გაიმარჯვეს საპროპაგანდო ბრძოლაში საბჭოთა კავშირთან, ომი კი წითელმა არმიამ მოიგო.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომმა,—განაგრძობს ბიულეტენი,—დაამტკიცა, რომ პროპაგანდას არ შეუძლია სასწაულის მოხდენა. მაშინ როდესაც პროპაგანდის ყველა უპირატესობა ფინელებს ჰქონდათ, ყველა სამხედრო უპირატესობა საბჭოთა კავშირის მხარეზე იყო. ინგლისი და საფრანგეთი გაძლიერებულ აგიტაციას ეწეოდნენ ფინეთის კონფლიქტის დროს იმ მიზნით, რომ ომში ჩაეთრიათ ამერიკის შეერთებული შტატები. ჰუვერმა მოაწყო „ფინეთის დახმარების" კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც უკანასკნელი იმპერიალისტური ომის დროს მოაწყო ბელგიის „დახმარების კამპანია".

შემდეგ ბიულეტენი დაწვრილებით ასწერს ანტისაბჭოთა პროპაგანდას, რომელსაც ამერიკის პრესა ეწეოდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს. ბიულეტენი ააშკარავებს იმ მრავალი ამერიკელი კორესპონდენტის ცნობების სიცრუეს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მათ „საკუთარი თვალით ნახეს" ომის ესა თუ ის ეპიზოდი. ამ უკანასკნელი დროის ყველა სხვა კონფლიქტებთან შედარებით, ამერიკის პრესა ფინეთის ომის შესახებ უფრო მეტს სცრუობდა, ვიდრე სიმართლეს სწერდა.

ამერიკულ გაზეთებში მეტ წილად ანტისაბჭოთა მასალები იბეჭდებოდა. გაზეთის გამომცემლები, უცხოეთის განყოფილებათა რედაქტორები, ჟურნალისტები არაჩვეულებრივი გულმოდგინეობით სთხზავდნენ და ავრცელებდნენ „ამბებს ფინელთა დაუჯერებელი გმირობისა და რუსების დიდი დამარცხების შესახებ".

შემდეგ ბიულეტენი ასწერს ასოშიეიტედ პრესის, იუნაიტედ პრესისა და სხვა სააგენტოების მიერ ცრუ ცნობების პროფესიულ ფაბრიკაციას იმის შესახებ, რომ „მანერჰაიმი შეიჭრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და გადასჭრა მურმანსკის რკინიგზა".

გაზეთის ერთმა თვალსაჩინო რედაქტორმა,—განაგრძობს ბიულეტენი, — გულდასმით შეამოწმა ეს ცნობა და გამოარკვია, რომ ეს „ფაქტი, რომელიც არ დადასტურებულა, მოგონილი იყო ანტისაბჭოთა ცნობილი მატყუარის, გაზეთ „ჩიკაგო ტრიბიუნის" რიგელი კორესპონდენტის დონალდ დეის მიერ". ბიულეტენი ასწერს აგრეთვე ფოტოსურათების გავრცელების საშუალებებს. კერძოდ, ბიულეტენს მოჰყავს ერთი ფოტოსურათის გავრცელების ფაქტი; ამ ფოტოსურათზე „გამოსახულია ორი ფინელი ქალი, რომლებიც მოსთქვამენ რუსული ყუმბარებისაგან დაღუპული თავიანთი შვილების საფლავზე". ნამდვილად კი ამ ფოტოსურათში გამოხატული იყო ორი ამერიკელი მუშა-ქალი, რომლებიც ნიუ-იორკის მუშათა უბანში გაჩენილ ხანძარს უყურებენ.

ადარებს რა ფინელი თეთრგვარდიელებისა და ამერიკის ბურჟუაზიული პრესის პროპაგანდისტულ კამპანიას იმ ცნობებს, რომლებიც სსრ კავშირიდან მოდიოდა, ბიულეტენი ერთგვარი სიცხარით ესხმის საბჭოთა კავშირს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა უარი სთქვა მიემართა საწინააღმდეგო ზომებისათვის და ანგარიში არ გაუწია საზოგადოებრივ აზრს. საბჭოთა კავშირში,—სწერს ბიულეტენი,—არავითარი პროპაგანდა არა ყოფილა. რუსების კომუნიკეები მეტად თავშეკავებული იყო. საბჭოთა კავშირმა პროპაგანდის ფრონტზე ბრძოლა წააგო, მაგრამ წითელმა არმიამ ომი მოიგო. ფინელთა სამხედრო პროპაგანდამ, — სწერს დასასრულ ბიულეტენი,—ცხადჰყო იმ პროპაგანდის სიღრმე და მნიშვნელობა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ანტისაბჭოთა პროპაგანდა ყველაზე ეფექტიური აგიტაციაა იმისათვის, რომ ომში ჩაბმული იქნას ამერიკის შეერთებული შტატები.

ეს ინსტიტუტი, თუმცა მას ობიექტიურობის პრეტენზიები აქვს, მუდამ ეწევა პროპაგანდას საბჭოთა კავშირსა და მუშათა კლასის წინააღმდეგ. მან ბოლომდე არ გაარჩია ფინელთა სამხედრო პროპაგანდის კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბიულეტენმა არ გამოამჟღავნა თუ რა გავლენა ჰქონდა პრესაზე და მკითხველებზე, განსაკუთრებით კი მუშა მკითხველებზე, ყალბ ცნობებს, როდესაც თვითონ გაზეთები იძულებულნი გახდნენ აღეარებინათ, რომ მკითხველებს უტიფრად ატყუებდნენ.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს თანამშრომელთა უკანასკნელ წლიურ კრებაზე, რომელზედაც რედაქტორები და კორესპონდენტები ერთმანეთს ჩვეულებრივ სრულიად გულახდილად ელაპარაკებიან. ამ სააგენტოს ცნობილმა კორესპონდენტმა ვერნერმა განაცხადა: ფინეთიდან გამოგზავნილი დეპეშები სავსე იყო ცნობებით, თითქოს საბჭოთა ავიაცია ყუმბარებს უშენდა სკოლებს, ჰოსპიტლებსა და სამოქალაქო მოსახლეობას. მაგრამ,—ხაზგასმით აღნიშნა ვერნერმა, — „გულწრფელად მჯერა, რომ ბოლშევიკებს განზრახვა არა ჰქონიათ ყუმბარები დაეშინათ სამოქალაქო მოსახლეობისათვისო". ამგვარად, ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი „პატიოსნად" ამბობს სიმართლეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფინეთის ომი დამთავრდა. ომის დროს ასოშიეიტედ პრესის, იუნაიტედ პრესის სააგენტოები და ამერიკული პრესის სხვა ორგანოები დღითიდღე იტყობინებოდნენ, თითქოს საბჭოთა თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ სამოქალაქო მოსახლეობას. ამ ცნობების საფუძველზე რუზველტმა „მორალური ემბარგო" შემოიღო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩაიკოვსკის დაბადების ასი წლისთავის დღესასწაული საზღვარგარეთ

ლონდონი, 6 მაისი (საკდესი). ინგლისის მუსიკალური ორგანიზაციები მთელი რიგი კონცერტების გამართვას აპირებენ დიდი რუსი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად. სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება ჩაიკოვსკის ნაწარმოებთა დიდ კონცერტს ჰმართავს 9 მაისს ლონდონის ყველაზე დიდ საკონცერტო დარბაზში—კუინს ჰოლში.

22 მაისსა და 2 ივნისს ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კომპანია მოაწყობს ჩაიკოვსკისადმი მიძღვნილ სპეციალურ რადიოგადაცემებს. საგრამოფონო კომპანიები „კოლუმბია" და „ჰიზ მასტერს ვოისი" გამოუშვებენ ფირფიტებს, რომლებზედაც ჩაწერილია ჩაიკოვსკის სხვადასხვა ნაწარმოებნი ლონდონის ფილარმონიისა და ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კომპანიის ორკესტრების მიერ შესრულებული.

O

ბერლინი, 6 მაისი (საკდესი). გერმანიის გაზეთმა „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგმა" დაბეჭდა სტატია, რომლის სათაურია: „საბჭოთა კავშირი აღნიშნავს ჩაიკოვსკის ხსოვნას". წერილში ნათქვამია: „7 მაისს სრულდება ჩაიკოვსკის დაბადების ასი წლისთავი. საბჭოთა კავშირი აღნიშნავს დიდი რუსი კომპოზიტორის ხსოვნას. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს მთელი საბჭოთა ხალხი". გაზეთი აღნიშნავს: „ჩაიკოვსკი ერთ-ერთი საყვარელი კომპოზიტორია საბჭოთა კავშირში. ჩაიკოვსკი თავისი მუსიკალური ნაწარმოებებისათვის თემებს იღებდა რუსული ხალხური შემოქმედების საგანძურიდან და ამიტომ მისი მუსიკა ღრმად შეიჭრა ხალხში".

O

ტალინი, 6 მაისი (საკდესი). ესტონეთის საზოგადოებრივობა ფართოდ აღნიშნავს დიდი რუსი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს. ესტონეთის საზოგადოებრივი და სასკოლო კონცერტების პროგრამებში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ დიდი კომპოზიტორის ნაწარმოებებს. წარსულ წლებში ესტონეთის თეატრებში დიდი წარმატებით იდგმებოდა ჩაიკოვსკის ოპერები „პიკის ქალი" და „ევგენი ონეგინი". წლევანდელ ზამთრის სეზონში დიდი წარმატება ჰქონდა ბალეტებს „გედის ტბას" და „შჩელკუნჩიკს", რომლებიც თეატრ „ესტონიაში" დაიდგა.

ესტონეთის პრესა აქვეყნებს კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ მრავალ მასალას.

საფრანგეთის საპარლამენტო წრეები მოითხოვენ პარლამენტის სასწრაფოდ მოწვევას

პარიზი, 5 მაისი (საკდესი). საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი მღელვარება გამოიწვია მოკავშირეთა ჯარების წასვლამ სამხრეთ-ნორვეგიის პუნქტებიდან. პარლამენტის წრეები მოითხოვენ პარლამენტის დაუყონებლივ მოწვევას (როგორც ცნობილია, დეპუტატთა პალატამ თავისი მუშაობა 16 მაისს უნდა განაახლოს), რათა გაიხსნას კამათი იმ კამათის მსგავსად, რომელიც 7 მაისს თემთა პალატაში იწარმოებს ლონდონში.

ბელგიის გაზეთი საფრანგეთის კომპარტიის მოღვაწეობის შესახებ

ბრიუსელი, 6 მაისი (საკდესი). სასტიკი დევნის მიუხედავად, საფრანგეთის კომუნისტები კვლავ განაგრძობენ არალეგალურ ბრძოლას რეაქციისა და ომის წინააღმდეგ. ბელგიის გაზეთმა „ლიბრ ბელჟიკმა" გამოაქვეყნა თავისი პარიზელი კორესპონდენტის სტატია საფრანგეთის კომპარტიის მოღვაწეობის შესახებ.

კორესპონდენტი იუწყება: თუმცა დაპატიმრება გრძელდება, მაგრამ შეუძლებელია მოსპონ პარტია, რომელსაც ჰყავს ნაცადი ხელმძღვანელი კადრები და დიდი აქტივი.

ავტორი, რომელსაც კომუნიზმისადმი სიმპატიებს ვერ დავწამებთ, სწერს: კომპარტიის წევრთა დიდმა უმრავლესობამ ყური არ ათხოვა „სოციალისტების" პროპაგანდას და თავისი პროგრამისა და მიზნების ერთგული დარჩა. ავტორის აზრით, საფრანგეთის კომპარტიაში ასიათასობით კაცი ირიცხება.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ კომუნისტების განსაზღვრული რაოდენობა იმყოფება არმიაში, სადაც მათი აღმოჩენა მეტად ძნელია. არმიაში კომუნისტური ბირთვის არსებობა,—სწერს ავტორი, — შეშფოთებას იწვევს სამხედრო სარდლობაში.

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია საყოველთაო ჩხრეკას აწარმოებს, პარიზსა და მის მიდამოებში სულ ცოტა 150 ათასი კომუნისტია. მათ დიდი მუშაობა გააჩაღეს. პროფკავშირებიდან გარიცხულმა კომუნისტებმა მუშაობა ახლა უმთავრესად ქარხნებში გადაიტანეს.

მხატვრული ლიტერატურა გაზეთში

ქართულ გაზეთ „კომუნისტს" მიმდინარე წლის ივნისში ოცი წელი უსრულდება. მან გამოსვლა იწყო ქართველი ხალხის ისტორიის შავბნელ და მძიმე წლებში, ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების — მენშევიკების ბატონობის წლებში. გაზეთი „კომუნისტი" არის ამხანაგ **სტალინისა** და მისი სახელოვანი თანამებრძოლის, **ლადო კეცხოველის** მიერ ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე შექმნილი მებრძოლი არალეგალური ბოლშევიკური გაზეთების — **„ბრძოლის"**, **„პროლეტარიატის ბრძოლის"**, **„ახალი დროების"**, **„დროს"** სახელოვანი ტრადიციების მემკვიდრე და განმგრძობი.

გაზეთი „კომუნისტი" რაზმავდა ქართველ ხალხს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საბრძოლველად, იმისათვის, რომ საქართველო გადაქცეულიყო მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელმაც თავისი მეურნეობისა და კულტურის აყვავებას მიაღწია ერთგული სტალინელის **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით.

თავის მუშაობაში „კომუნისტი" ფართოდ იყენებს მხატვრულ ლიტერატურას, როგორც კომუნისტური აღზრდის მძლავრ საშუალებას. გაზეთის აქტიური თანამშრომლები არიან საუკეთესო ქართველი მწერლები, კრიტიკოსები, პოეტები. მის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება მხატვრულ ნაწარმოებთა ნაწყვეტები. აქ ცალკეულ თავებად დაიბეჭდა გიორგი ლეონიძის თითქმის მთელი პოემა „ბავშვობა და ყრმობა" (პოეტური ეპოპეის „სტალინის" პირველი წიგნი). მკითხველთა ფართო მასები „კომუნისტის" მეშვეობით გაეცნენ ქართველი პოეტების — გ. ტაბიძის, ალიო მაშაშვილის, ი. მოსაშვილის, ს. შანშიაშვილის, ს. ჩიქოვანის, ი. გრიშაშვილის, ირ. აბაშიძის საუკეთესო ლექსებს. ჩვენი დიდი თანამედროვეობის შესანიშნავი ამბების შესახებ პოეტურ გამოხმაურებას იძლევიან „კომუნისტის" ფურცლებზე პოეტები ა. აბაშელი, ს. ეული, ვ. გაფრინდაშვილი, კ. კალაძე, მარიჯანი, გ. ქუჩიშვილი.

გაზეთ „კომუნისტის" მეშვეობით ხდება თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო ნაწარმოებთა პოპულარიზაცია. გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება შ. დადიანის, ლეო ქიაჩელის, კ. გამსახურდიას, დ. შენგელაიას, ს. კლდიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, პ. ჩხიკვაძის, ა. ბელიაშვილის, ა. ჭეიშვილის, ე. პოლუმორდვინოვის და სხვების ახალი რომანებისა და მოთხრობების ნაწყვეტები.

გაზეთი არა მარტო აქვეყნებს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ნიმუშებს, არამედ რაზმავს კიდევაც საზოგადოების აზრს ამ ნაწარმოებთა გარშემო. „კომუნისტი" გარდა იმისა, რომ ქართული ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენათა კრიტიკულ შეფასებას იძლევა (ამ გაზეთში სისტემატურად თანამშრომლობენ ქართველი კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები: შ. რადიანი, პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე, ბ. ჟღენტი, ლ. ასათიანი, ი. წულუკიძე, გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, ა. სულავა და სხვ.), იგი აწყობს ახალი წიგნების განხილვას საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. გაზეთის ინიციატივით მოეწყო თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა კრებაზე, აგრეთვე გალისა და სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებში ლეო ქიაჩელის რომანის „გვადი ბიგვას" განხილვა. ალ. ჭეიშვილის რომანი „ლელო" განხილულ იქნა ნატანების ჩაის კოლმეურნეობაში, სწორედ იმ რაიონში, რომლის ცხოვრებიდანაც აღებული აქვს ავტორს თავისი რომანის გმირების პროტოტიპები და ის რეალური ეპიზოდები, რაც საფუძვლად დაედო რომანში დასურათებულ ქართველი კოლმეურნე ახალგაზრდობის ყოფაცხოვრების დამახასიათებელ სიტუაციებს.

გაზეთის ეს კარგი ინიციატივა ყოველნაირად უნდა წახალისდეს და მისაბაძი უნდა გახდეს სხვა გაზეთებისათვის.

გაზეთი განსაკუთრებით ფართოდ და მკაფიოდ აშუქებს სოციალისტური სოფლის ყოფა-ცხოვრებას, საკოლმეურნეო წყობილების განუხრელ ზრდას.

გაზეთმა მიიზიდა მოწინავე ქართველი მწერლები სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე სასოფლო-სამეურნეო რაიონების, კოლმეურნეობებისა და ცალკეული კოლმეურნეების წარმატებათა და მიღწევათა გასაშუქებლად.

ამ თაოსნობის შედეგად დაიწერა ქართველი მწერლების — ი. მოსაშვილის, შ. დადიანის, ლ. ქიაჩელის, დ. შენგელაიას, კ. ლორთქიფანიძის, აკ. ბელიაშვილის, რ. ქორქიას, ს. ფაშალიშვილის, ელ. პოლუმორდვინოვის დიდი მხატვრული ნარკვევები კოლმეურნე გლეხობის შესახებ.

გაზეთმა დიდი მუშაობა გასწია თანამედროვე პოეტური ფოლკლორის შესაგროვებლად და დასამუშავებლად, სახალხო მგოსან-მთქმელების გამოსავლინებლად.

„კომუნისტის" ფურცლებზე, ცნობილი ქართველი საბჭოთა პოეტების ნაწარმოებებთან ერთად, დიდი წარმატებით იბეჭდება ლექსები სახალხო მოლექსეებისა, რომელთა სახელებმაც უკვე დამსახურებული პოპულარობა მოიპოვეს ქართველ ხალხში. სახალხო მოლექსე კოლმეურნეები, მწყემსები, ახალი ცხოვრების მშენებლები — ისაკო მირიანაშვილი, გიორგი ქადაგიძე, ა. კუდიანაშვილი, გ. ხეთაგური, გ. ლიქოკელი, გ. კანაჩელი, პ. გეჯურაშვილი, ს. ჩანგაშვილი, ნ. ბენიძე, ი. მუკბანიანი, ა. ბიბილური და სხვები თითქოს ეჯიბრებიან თანამედროვე ქართული ლექსის გამოჩენილ ოსტატებს სტალინური ეპოქის სიდიადის პოეტურ ასახვაში. მათი სახით თვითონ ხალხი უსაზღვრო გულწრფელობით გამოხატავს თავის უღრმეს სიყვარულსა და ერთგულებას ბოლშევიკების დიადი პარტიისადმი და ხალხთა ბრძენი ბელადის, მშობლიური **სტალინისადმი.**

მშობელი ქვეყნის მთა-ბარო,
სიამევ ხალხის გულისა!
მშრომელთა ოფლით ნაბანო
სიმბოლოვ სიყვარულისა!
აყვავებულო ბაღნარო,
სიტურფევ გაზაფხულისა,
სტალინური მზით გამთბარო
ნუგეშო დაჩაგრულისა.
შენ შობე დიდი სტალინი,
ჩვენი გული და გონება,
ხალხისთვის ასე ძვირფასი
ცხრა მზეც არ შაიკონება.

(ალ. კუდიანაშვილი — „შენს დაბახილზე, ბელადო!").

მწყემს ალ. ბიბილურს მოჰყავს ეპიზოდი ამხანაგ **სტალინის** შეხვედრისა და საუბრისა ქართული საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანებთან. ლექსი თავდება ამხანაგ **სტალინისა** და მწყემსის ასეთი დიალოგით:

ქართულად „გამარჯობა" სთქვა,
თან ამბავს მკითხავს მთისასა, —
— „აღარ მღერიო, მთიელო,
„სამშობლო ხევსურისასა?!"

— „მე როდი მქონდა სამშობლო,
ლატაკს პირ მიწა მეყარა,
ეხლა კი ყველაფერი მაქვს —
მიწა, სამშობლო, ქვეყანა!"

ხალხური პოეზიის ასეთი მკაფიო ნიმუშები ამშვენებენ გაზეთის 1939 წლის 21 დეკემბრის ნომერს, რომელიც მიძღვნილია ამხანაგ **სტალინის** დაბადების სამოცი წლისთავისადმი. ამ ნიმუშებიდან საუკეთესონი დაბეჭდილია გაზეთის მიერ გამოცემულ კრებულში **„ი. ბ. სტალინი"**. ამ კრებულში, გარდა ხალხური ლექსებისა და სიმღერებისა სტალინზე, თავმოყრილია აგრეთვე მოგონებანი ამხანაგ სტალინის ჭაბუკობის წლებზე და ნარკვევები იმ ადგილებზე, სადაც რევოლუციურ ბრძოლას ეწეოდა ხალხთა ბელადი.

გასული წლის დეკემბერში გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ მოაწყო სახალხო მოლექსე-მთქმელთა რესპუბლიკური შეკრება. ამ შეკრებაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ახალი ხალხური პოეზიის შემოქმედნი, რომელნიც ჩამოვიდნენ საქართველოს ყველა რაიონიდან და კუთხიდან: ხევსურეთიდან, ფშავეთიდან, სვანეთიდან, კახეთიდან, ქართლიდან, გურიიდან, იმერეთიდან და სხვ. მათთან თათბირის შედეგად დიდი მუშაობა გაჩაღდა თანამედროვე ფოლკლორის ჩასაწერად და დასამუშავებლად. ამჟამად რედაქციის განკარგულებაშია უმდიდრესი მასალა კრებულისათვის, რომელშიც მოთავსებული იქნება ხალხური ლექსები და სიმღერები სოციალისტური სოფლის, გამარჯვებული საკოლმეურნეო წყობილების შესახებ. ეს კრებული მზადდება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

მხატვრული ლიტერატურა „კომუნისტის" მუშაობის აუცილებელი ორგანიული შემადგენელი ნაწილი გახდა. ამ მხრივ გაზეთი შეიძლება ნიმუშად გამოდგეს მრავალი რესპუბლიკური გაზეთისათვის.

ლიტერატურის კლასიკოსთა საიუბილეო თარიღების ფართოდ გაშუქება გაზეთს სრულიადაც არ უშლის ხელს ღირსეული ყურადღება დაუთმოს თანამედროვე ლიტერატურის საკითხებს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „კომუნისტი" განაგრძობს მუშაობას, რათა საბჭოთა მწერლებმა ფართო მონაწილეობა მიიღონ გაზეთში. ეს დაეხმარება გაზეთს კარგად მოაწყოს კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება, უფრო ხშირად და უფრო ღრმად გააშუქოს თავის ფურცლებზე საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი საკითხები.

ბესო ჟღენტი

დაბეჭდილია **„ლიტერატურნაია გაზეტაში" 6 მაისს 1940 წ. № 25 (876).**

ჩაის ფოთლის დამზადება

წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს 51.114.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა ჩააბარონ, აქედან მაისში—11.892.000 კილოგრამი.

„საქჩაის" ცნობებით, 5 მაისისათვის ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება საქართველოში მომქმედი 35 ფაბრიკიდან დაწყებული ჰქონდათ მხოლოდ ნიგვზიანის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, წულუკიძის, დიდიჭყონის პირველ და მეორე, ზუგდიდის, ნარაზენის, ჭალეფახულონის, ჩხოროწყუს, გალის, აჩიგვარის, მოქვის, ახალხიბულის ჩაის ფაბრიკებს, სულ 18 ფაბრიკას.

ამ ფაბრიკებს 5 მაისისათვის სულ 47.644 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი ჰქონდათ დამზადებული. შარშან კი ამავე რიცხვისათვის საქართველოში დამზადებული იყო 55.000 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი. კერძოდ დიდიჭყონის პირველ ფაბრიკას მიმდინარე წლის 5 მაისისათვის დამზადებული ჰქონდა 8.218 კილოგრამი, ორპირის ფაბრიკას—5.378 კილოგრამი, გალისას—4.336 კილოგრამი, ჩხოროწყუსას—4.303 კილოგრამი და სხვ.

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 6 მაისი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: „გუშინ ნარვიკის რაიონში დიდი ბრძოლა არ მომხდარა. გერმანიის მფრინავებმა დააზიანეს მტრის სახაზო გემი. დაეცა მთიანი ციხე-სიმაგრე ხეგრა. გერმანიის დამცველი რაზმი იმყოფება რეროსის აღმოსავლეთით, შვეციის საზღვრის მახლობლად. ჩამოგდებულია ინგლისის 2 თვითმფრინავი.

დასავლეთის ფრონტზე არავითარი განსაკუთრებული ამბავი არ მომხდარა".

ბერლინი, 6 მაისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ნამსოსის რაიონში მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის ჯარის ყველა ნაწილებმა როდი მოახერხეს გემებში ჩასხდომა. გერმანიის ავიაციის მოქმედება აბრკოლებდა ინგლისის ჯარის გემებში ჩასხდომას. გემებზე გადასული ჯარის ყველა შენაერთმა ვერ მოახერხა ნორვეგიიდან წასვლა. 3 და 4 მაისის განმავლობაში ნამსოსის დასავლეთით სამხედრო და სატრანსპორტო გემების წარმატებით ჩაძირვის შედეგად მტერმა მრავალი ხალხი დაჰკარგა. ნორვეგიაში დარჩენილ შეიარაღებულ ძალებს მტერი თავს უყრის ნარვიკის რაიონში.

ბერლინი, 6 მაისი (საკდესი). ტრანსოცეანის სააგენტო იუწყება: გერმანიის ავიაციამ იერიში მიიტანა და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ინგლისის იმ სამხედრო გემების ესკადრას, რომლებზედაც იმყოფებოდა ნამსოსიდან ევაკუირებული ინგლის-საფრანგეთის ჯარი. „იორკის" კლასის მძიმე კრეისერს 2 ყუმბარა ესროლეს. 30 წუთის შემდეგ კრეისერი ჩაიძირა. ინგლისის საესკადრო ნაღმოსნის გემბანს მოხვდა საშუალო ზომის ყუმბარა. როგორც ფიქრობენ, საესკადრო ნაღმოსანი ჩაიძირა. მეორე საესკადრო ნაღმოსანი სერიოზულად დაზიანდა. 12 ათასი ტონა წყალწყვის სატრანსპორტო გემი ჩაძირულია.

ბერლინი, 6 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ნარვიკის რაიონში ბრძოლა უწინდელი სიძლიერით გრძელდება. გერმანიის საჰაერო დაცვის ნაწილებმა მოიგერიეს საფრანგეთის ალპიურ მსროლელთა რაზმის იერიში; მოწინააღმდეგეს რამდენიმე კაცი მოუკლეს.

ბერლინი, 7 მაისი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

მდგომარეობა ნარვიკში უცვლელია. გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ინგლისის კოლონებს და გაჰფანტეს ისინი. მტრის კრეისერი, რომელიც ნარვიკის მახლობლად იყო, საჰაერო ბომბარდირებამ დააზიანა. მტრის ერთი ჰიდროთვითმფრინავი ჩაძირულია. გერმანიის ჯარმა, რომელიც ნამსოსისა და გრონგის რაიონიდან ჩრდილოეთისაკენ მიიწევს, მოსიენს მიაღწია.

სკაგერაკში ჩაძირულია მტრის წყალქვეშა ნავი. ინგლისის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა.

ინგლისისა და საფრანგეთის ცნობები

ლონდონი, 6 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ნარვიკში გააფთრებული ბრძოლა გრძელდება. რეროსა და სტერენს შორის მდებარე რაიონში ნორვეგიის ჯარი გერმანელებს წინააღმდეგობას უწევს. გერმანელები მრავალგზის შეეცადნენ ამ რაიონიდან ნორვეგიელების განდევნას, მაგრამ დღემდე ამას წარმატება არა ჰქონია. როგორც იუწყებიან, სტერენის სამხრეთით ნორვეგიის ჯარმა გაანადგურა გერმანიის რაზმი.

შვეციის გაზეთების კორესპონდენტთა ცნობებით, გერმანელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჰაერში თავიანთი უპირატესობა გამოიყენონ ნარვიკის რაიონში. ამტკიცებენ, რომ გერმანიის თვითმფრინავები განუწყვეტლივ მიდიან ნარვიკისაკენ. მარტო ერთ დღეს შემჩნეული იყო 100 თვითმფრინავი, ჩრდილოეთისაკენ მიმავალი. გერმანელთა მტკიცება, რომ მათ დანებდა სეგრის სიმაგრის გარნიზონი, დადასტურდა.

პარიზი, 6 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ნარვიკის რაიონში გერმანიის ჯარი, რომელიც სასტიკ ბომბარდირებაში მოჰყვა, თავიანთი რაზმების გადაჯგუფებას ახდენენ იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცეთ უკეთეს პირობებში გასწიონ წინააღმდეგობა. მოკავშირეთა საომარი ოპერაციები კვლავ ხელსაყრელ პირობებში ვითარდება.

პარიზი, 6 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ნორვეგიაში ინგლისისა და საფრანგეთის ჯარის გადაჯგუფების ოპერაციები გრძელდება.

ცენტრალურ ნორვეგიაში გერმანელებს დანებდა ნორვეგიის ჯარის რამდენიმე ჯგუფი.

გუშინ გერმანიის ავიაცია ნარვიკის რაიონში გამოჩნდა და ყუმბარები დაუშინა ამ ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე რაიონს. ამჟამად ნარვიკის სექტორში გერმანიის ჯარის ნაწილი თითქოს სულ დიდი 3.000 კაცისაგან შესდგება.

ლონდონი, 6 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ზღვიდან და ხმელეთიდან ნარვიკის ბომბარდირება, რამაც რამდენიმე საათს გასტანა, წარმოადგენს მოკავშირეთა მზადებას ამ ქალაქის ასაღებად.

ნორვეგიის ჯარის ნაწილები გააფთრებით იბრძვიან რეროსის რაიონში. გერმანიის ჯარმა მედგარი ბრძოლის შემდეგ კვლავ ხელთ იგდო სტერენი. ხეგრის სიმაგრის ნორვეგიის ჯარი, რომელიც ტრონჰეიმის აღმოსავლეთით იმყოფება, კვლავ წინააღმდეგობას უწევს გერმანიის ჯარს.

ლონდონი, 7 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა ჯარი ნორვეგიაში განაგრძობს გერმანიის ჯარის გარემოცვას ნარვიკის რაიონში. ნორვეგიის ჯარმა მიაღწია რკინიგზას, რომელიც ნარვიკიდან შვეციის საზღვრისაკენ მიდის.

ნორვეგიის ჯარი ინარჩუნებს თავის პოზიციებს გაულიდალენის ველზე რეროსსა და სტერენს შორის. ნორვეგიის ჯარმა ტრიუსილში, ელვერუმის ჩრდილო აღმოსავლეთით, მოკავშირეთა ჯარების ევაკუაციის შემდეგ უკან დაიხია.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში ინგლისელებმა ყველა ფრონტზე 48 თვითმფრინავი დაჰკარგეს. სააგენტო ამტკიცებს, რომ გერმანელებმა ამ პერიოდში 138 თვითმფრინავი დაჰკარგეს.

ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისის ორი მფრინავი ნავი, რომლებიც ნორვეგიის სანაპიროსთან ლუზაზე იდგნენ, დაზიანებულია გერმანიის თვითმფრინავების ტყვიამფრქვევთა სროლით.

ინგლისის საზღვაო სამინისტროს ცნობა

ლონდონი, 6 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს საზღვაო სამინისტროს შემდეგ კომუნიკეს: „ნამსოსიდან ინგლისის ჯარის უკანდახევის დროს ჩაძირულ იქნა საესკადრო ნაღმოსანი „აფრიდი". ინგლისის სამხედრო გემები, მათ შორის „აფრიდიც", მტრის ავიაციისა და წყალქვეშა ნავების თავდასხმისაგან იცავდნენ იმ სატრანსპორტო გემებს, რომლებითაც ჯარი გადაჰყავდათ".

ტრონჰეიმის რაიონში მყოფ ნორვეგიის ჯარის სარდლის ბრძანება

ნიუ-იორკი, 4 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ტრონჰეიმის რაიონში მყოფი ნორვეგიის ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა პოლკოვნიკმა გეცმა გამოსცა ბრძანება ჯარისადმი, რომელშიც ნათქვამია: „რადგანაც ინგლისელებმა და ფრანგებმა, გამოურკვეველი მიზეზების გამო, შესწყვიტეს ჩვენთვის დახმარების გაწევა და გაიყვანეს თავიანთი ჯარები ნამსოსიდან, ჩვენ მარტონი დავრჩით. ჩვენ უკვე მოგვიარეს ფლანგებიდან და გარშემორტყმული ვართ იმ ხაზზე, რომელიც უნდა შეენარჩუნებინათ ინგლისის და საფრანგეთის ჯარებს. ჩვენ აღარ გვაქვს გარეშე დახმარება, აღარა გვაქვს საომარი მასალა, თვითმფრინავები და სხვა საჭირო საბრძოლო მასალა. შემდგომში წინააღმდეგობა უაზროა. ეს გამოიწვევს მხოლოდ ნგრევას და არავითარ სამხედრო სარგებლობას არ მოიტანს. ამიტომ ვაცნობებ გერმანიის სამხედრო სარდლობას ჩემს სურვილს დავამყარო კონტაქტი ტრონჰეიმში ზავის ჩამოგდების მიზნით. ინგლისის და საფრანგეთის სარდლობამ გაუგებარი აქტი ჩაიდინა: გაამიშვლეს ჩემი ჯარის ფლანგები და ზურგი ისე, რომ ჩემთვის არაფერი უცნობებიათ. ამრიგად, მოსპობილი მაქვს იმის შესაძლებლობა რომ მოსიენის მიმართულებით დავიხიო".

„ნიუ-იორკ ტაიმსი" ნორვეგიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 6 მაისი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი, რომელიც შვეცია-ნორვეგიის საზღვარზე იმყოფება, იუწყება, რომ მოკავშირეებმა ლონდონში გაჰგზავნეს ნორვეგიის ოქროს მარაგი 600 მილიონი კრონის რაოდენობით. შემდეგ კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ გერმანიის თვითმფრინავებს ამჟამად ნარვიკში გადაჰყავთ ჯარი.

ნორვეგიის არმიის მთავარსარდლის ბედი

ბერლინი, 7 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო, ემყარება რა სტოკჰოლმიდან მიღებულ ცნობებს, გადმოგვცემს, რომ ინგლისელებმა ონდალსნესიდან უკანდახევის დროს აიძულეს ნორვეგიის არმიის მთავარსარდალი გენერალი რუგე თან გაჰყოლოდა მათ. გენერალი რუგე ამჟამად გზაში იმყოფება და ინგლისს მიემგზავრება.

„დეილი უორკერის" რედაქტორთა პროცესი

ლონდონი, 7 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, „დეილი უორკერის" რედაქტორთა პროცესი დამთავრდა. სასამართლომ, როგორც მოსალოდნელი იყო, დააკმაყოფილა სიტრინისა და ტრედუნიონთა გენერალური საბჭოს სხვა ექვსი წევრის სარჩელი. როგორც ვიცით, მოსარჩელენი „დეილი უორკერს" ბრალად სდებდნენ „ცილისწამებას", რაც იმით გამოიხატა, რომ გაზეთი თავის სტატიებში შარშანდელი წლის დეკემბერში სწერდა ტრედუნიონთა ხელმძღვანელები მუშათა ინტერესებს ღალატობენ, რამდენადაც ტრედუნიონთა ხელმძღვანელებმა თანამშრომლობა დაამყარეს მთავრობასა და მეწარმეებთან. სასამართლოს მიერ მისჯილია „ზარალის ანაზღაურების წესით" სიტრინის სასარგებლოდ 300 გირვანქა სტერლინგი; ოთხ სხვა მოსარჩელის სასარგებლოდ ორას-ორასი გირვანქა და დანარჩენი ორის სასარგებლოდ 150 გირვანქა სტერლინგი თვითეულს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრესის გამოხმაურება ნორვეგიაში ინგლისის ჯარის დამარცხების გამო

ნიუ-იორკი, 6 მაისი (საკდესი). მთელი ამერიკული პრესა ფართოდ იხილავს საკითხს—აღემატება თუ არა გერმანიის საჰაერო ძლიერება ინგლისის საზღვაო ძლიერებას. იუნაიტედ პრესის სააგენტო აქვეყნებს სამსახურიდან გადამდგარი ადმირალის სტირლინგის სტატიას, რომელშიაც იგი სწერს: „თუ სიმართლეს შეეფერება გერმანიის მტკიცება, რომ გერმანიის თვითმფრინავებმა ჩასძირეს ინგლისის სახაზო გემი, მაინც ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ სახაზო გემებმა თავიანთი მნიშვნელობა დაჰკარგეს".

შემდეგ სტირლინგი სწერს, რომ წინანდელი ომის დროს აღმოაჩინეს იმის საშუალება, რომ წყალქვეშა ნავებისაგან დაეცვათ სახაზო გემები. ამიტომ,—აღნიშნავს იგი,—საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამჟამადაც არ გამონახავენ ეფექტურ საშუალებას, რათა ავიაციისაგან დაიცვან სახაზო გემები. მიუხედავად ამისა, თუ გერმანიის ცნობები დადასტურდა, „ინგლისის ფლოტის პრესტიჟი დიდად დაეცემა".

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსმა" მოათავსა თავისი სამხედრო მიმომხილველის ბოლდუინის სტატია. ბოლდუინი სწერს: როგორც გერმანიის განცხადებიდან სჩანს, ნორვეგიის კამპანიის დაწყების დღიდან მან მოსპო ინგლისისა და საფრანგეთის 15 გემი და მნიშვნელოვნად დააზიანა დაახლოებით 20 გემი. ბოლდუინის აზრით ამ ზარალმა, აგრეთვე ზოგიერთი გემის შეკეთების აუცილებლობამ მეტად შეამცირა ინგლისის ფლოტის ძლიერება.

ბოლდუინი ფიქრობს, რომ „საზღვაო ფლოტის ტაქტიკა და სტრატეგია უნდა შეიცვალოს. ინგლისის სტრატეგიულ საკუნძულო მდებარეობას ამიერიდან ვერ უზრუნველჰყოფს მარტო წყალზევითა ფლოტი".

ამერიკელი სპეციალისტი ამჟღავნებს, რომ გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" სიყალბე ჩაიდინა

ნიუ-იორკი, 6 მაისი (საკდესი). ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი, შორეულ აღმოსავლეთის საკითხების სპეციალისტი ოუენ ლატიმორი გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნში" 5 მაისს გამოქვეყნებულ წერილში აცხადებს, რომ ჩინეთის „საბჭოთა რუკა", „ნიუ-იორკ ტაიმსში" მოთავსებული, აშკარა სიყალბეს წარმოადგენს. „ჩინეთის საზღვრის გასწვრივ მდებარე რაიონებთან დაკავშირებული გეოგრაფიული და ისტორიული პრობლემების მრავალი წლის შესწავლის შედეგად, — სწერს ლატიმორი, — მე კარგად შევისწავლე აზიურ სახელწოდებათა რუსული ტრანსკრიპცია. რუკა ხმარობს ტერმინს „ჯილი", რომელსაც ხმარობდნენ იმპერიის ხანაში. რუსები, ისევე როგორც ყველა ჩინელი, ამ პროვინციას „ხებეის" უწოდებენ. ამიტომ, თუ რუკა რუსებისთვის გამოსცეს, სახელწოდება „ჯილი" უაზრობაა. რუკა რომ ჩინელებისათვის ყოფილიყო გაკეთებული, რუსულ ენაზე არ დაიბეჭდებოდა. რუსები ერთმანეთისაგან განასხვავებენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და ტუვის რესპუბლიკას. ეს რუკა კი ამ განსხვავებას უგულვებელჰყოფს".

ლატიმორი ხაზგასმით აღნიშნავს: „რუკის თავისებურებანი ცხადჰყოფენ, რომ იგი გაუკეთებია იაპონელ კარტოგრაფს ინგლისური ორიგინალის მიხედვით". დასასრულ, ლატიმორი აღნიშნავს: ეს რუკა იაპონელთა საპროპაგანდო მიზნით არის გამოცემულიო.

ნორვეგიის ადმინისტრაციული საბჭოს საქმიანობა

ოსლო, 6 მაისი (საკდესი). ადმინისტრატიული საბჭოს თავმჯდომარემ კრისტენსენმა და ფინანსთა და შრომის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იანმა პრესის წარმომადგენლებს გააცნეს ადმინისტრატიული საბჭოს ერთი კვირის საქმიანობა.

კრისტენსენმა აღნიშნა, რომ ოკუპირებული ოლქი ძლიერ გაფართოვდა. ეს ოლქი წარმოადგენს იმ რაიონების ზურგს, სადაც გერმანელთა საომარი ოპერაციები სწარმოებს. საზღვრები მუდამ იცვლება. ოკუპირებულ რაიონებში ადმინისტრატიულ საქმიანობას ანხორციელებენ გუბერნატორები, რომლებმაც საგუბერნიო კომიტეტებთან უნდა ითანამშრომლონ. ამ ორგანოებს ისეთივე უფლება ენიჭებათ, როგორითაც ჩვეულებრივ გუბერნატორები და მათი დამხმარე ორგანოები სარგებლობენ. ისინი გერმანიის მთავრობის კომისრის ტერბოვენის მითითებათა შესაბამისად მოქმედებენ. ადმინისტრატიული საბჭო ოკუპირებულ ოლქებში უმაღლესი ინსტანცია იქნება. ოკუპირებულ რაიონების მთელი ტერიტორია საჰაერო თავდასხმის საფრთხეშია.

ადმინისტრატიული საბჭოს მიერ გერმანიის ხელისუფალთა წარმომადგენლებთან ერთად განხილულ მრავალ საკითხს შორის უნდა აღინიშნოს საკითხი იმის შესახებ, რომ ოკუპირებულ ოლქებში არსებული საწარმოები გადაყვანილ იქნას სამოქალაქო საჭიროების პროდუქციის წარმოებაზე. არსებული შესაძლებლობის გამოყენების მიზნით, ადმინისტრატიული საბჭო მუშაობას შეუდგა თესვის კამპანიის გასაძლიერებლად.

„ხუთის კომიტეტის" შექმნა ნორვეგიაში

ოსლო, 6 მაისი (საკდესი). გაზეთები აქვეყნებენ ადმინისტრატიული საბჭოს დადგენილებას, რომლის თანახმადაც ეკონომიური ცხოვრებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად დანიშნულია „ხუთის კომიტეტი".

„ხუთის კომიტეტი" შესდგება ორი მრეწველისა, ერთი ადვოკატისა, ერთი მემამულისა და პროფკავშირთა ერთი წარმომადგენლისაგან. „კომიტეტის" ამოცანას შეადგენს,—სწერს გაზეთი „აფტენპოსტენი",—მრეწველობის, ვაჭრობის და ტრანსპორტის მოწესრიგება, ახალ შესაძლებლობის გამოძებნა ძველი საწარმოების რეკონსტრუქციისათვის, აგრეთვე საწარმოთა გაჩერებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა" და სხვ. ეს კომიტეტი განახორციელებს კონტროლს საწარმოებზე.

რადიოტელეგრაფის 45 წლისთავი

1895 წ. 7 მაისს პეტერბურგში რუსეთის ფიზიკა-ქიმიური საზოგადოების სხდომაზე ახალგაზრდა რუსმა ფიზიკოსმა ალექსანდრე სტეფანეს-ძე **პოპოვმა** მოხსენება გააკეთა უმავთულო ტელეგრაფის საფუძვლების შესახებ და დამსწრეთ უჩვენა ხელსაწყო, რომელიც ელექტრული რხევების რეგისტრაციას ახდენდა. ეს იყო კაცობრიობის ერთერთი უდიდესი გამოგონების, რადიოტელეგრაფის დაბადების დღე.

1896 წ. 12 მარტს ა. პოპოვმა გააკეთა მეორე მოხსენება. ახლა მან მოახდინა უკვე ნამდვილი რადიოტელეგრაფის დემონსტრაცია. პირველი სიტყვები, გადმოცემული და მიღებული ამ აპარატით იყო: „ჰაინრიხ ჰერცი". ეს ის ჰერცი იყო, რომლის შესანიშნავმა ცდებმა ქვეყანა შესძრა იმ ხანებში და რომლის ელექტრომაგნიტური ტალღები ა. პოპოვმა საფუძვლად დაუდვა თავის გენიალურ გამოგონებას.

ჰერცმა აღმოაჩინა, რომ ყოველი ელექტრონაპერწკლის გაჩენის დროს (მაგ., ელვის დროს) სივრცეში ვრცელდება ელექტრომაგნიტური ტალღები მსგავსად იმ ტალღებისა, რომლებიც გაჩნდება ხოლმე წყლის ზედაპირზე მასში ქვის ჩავდებით. ჰერცმა გააკეთა ისეთი ხელსაწყო, რომელიც იძლეოდა ელექტრონაპერწკალს და სივრცეში გზავნიდა ელექტრომაგნიტურ ტალღებს. ეს იყო ვიბრატორი.

ა. პოპოვმა გადადგა შემდეგი ბრწყინვალე ნაბიჯი: მან შესძლო სივრცეში გაგზავნილი ელექტრომაგნიტური ტალღების დაჭერა, მიღება მის მიერ გამოგონილი და მოწყობილი ანტენის საშუალებით.

ცდების გასაფართოებლად ა. პოპოვს ფულადი სახსრები სჭირდებოდა, მაგრამ მეფის მთავრობა ფულს არ იძლეოდა ასეთი „ქიმერული ოცნებისათვის".

1897 წელს ნიჭიერმა იტალიელმა ინჟინერმა მარკონიმ, რომელმაც გამოიყენა მთელი რიგი გამოგონებები და კერძოდ ა. პოპოვის ანტენა, შესძლო საკმაოდ დიდ მანძილზე სიგნალების გადაცემა. და მხოლოდ ამის შემდეგ, 1899 წ., როდესაც ქვეყანა ალაპარაკდა მარკონის მუშაობის შესახებ, დაფაცურდა რუსეთის ტექნიკური საზოგადოება და ა. პოპოვს საშუალება მიეცა ფართოდ დაეყენებინა თავისი ცდები.

1900 წ. იანვარში რადიოტელეგრაფი პირველად იქნა გამოყენებული პრაქტიკულად. ეს ასე მოხდა: ჯავშნოსანმა გემმა „ადმირალ აპრაქსინმა" ავარია განიცადა ფინეთის ყურეში კუნძულ გოგლანდთან. დასახმარებლად გაგზავნეს ყინულისმჭრელი „ერმაკი". საჭირო იყო კავშირის დამყარება კუნძულსა და მატერიკს შორის. ამ ამოცანის გადაჭრა მიენდო ა. პოპოვს. პოპოვის თანაშემწე პ. ნ. რიბკინი გაიგზავნა კუნძულზე სადგურის მოსაწყობად, სანაპირო სადგურს ქალაქ კოტკაში (ფინეთი) თვით ა. პოპოვი ხელმძღვანელობდა. მანძილი მათ შორის 47 კლმ. იყო.

1900 წ. 27 იანვარს, დღის 2 საათზე, გოგლანდის სადგურმა მიიღო პირველი ტელეგრამა: „ერმაკის" უფროსს. კუნძულ ლავენსართან წყალმა გაიტაცა ყინული მეთევზეებით. უშველეთ". „ერმაკის" ეკიპაჟის განცვიფრებასა და აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. ყინულისმჭრელი დაუყოვნებლივ გაეშურა მისაშველებლად და 27 ადამიანი დაღუპვას გადარჩა. ასეთი სახელოვანი იყო რადიოს პირველი ნაბიჯები.

რადიოტელეგრაფის გამოგონებას ჩვეულებრივ მარკონის სახელს უკავშირებდნენ. საბჭოთა მეცნიერებს დასჭირდათ შეექმნათ სპეციალური კომისია მთელი რიგი აკადემიკოსების მონაწილეობით, რათა არსებული საბუთების საფუძველზე დამტკიცებულიყო პოპოვის პირველობა რადიოტელეგრაფის გამოგონების დარგში. ამჟამად მსოფლიოს ყველა მოწინავე მეცნიერი სცნობს, რომ ჩვენი დროის უშესანიშნავესი გამოგონება ეკუთვნის რუს მეცნიერს ა. ს. პოპოვს, მარკონიმ კი გამოიყენა პოპოვის გამოგონება. რაც პოპოვს არ დასცალდა (გარდაიცვალა იგი 1906 წ. 12 იანვარს), შესანიშნავად განავითარა შემდეგში მარკონიმ.

შ. ბვინჩიძე.

სსრ კავშირის „მილიონიანი მასშტაბის" სახელმწიფო რუკა

კარტოგრაფიული საწარმოები რთულ და სერიოზულ მუშაობას შეუდგნენ. ისინი ადგენენ სსრ კავშირის დიდ სახელმწიფო რუკას 1:1.000.000 მასშტაბით. ამ რუკის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სხვა სახელმწიფოთა ანალოგიური რუკებისაგან განსხვავებით, აქ ნაჩვენები იქნება ტყეები, საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

სსრ კავშირის „მილიონიანი მასშტაბის" რუკა, რომელიც პირველად გამოდის ზომით საერთაშორისო ხაზვის 180 ფურცლამდე, უაღრესად საჭირო დამხმარე სახელმძღვანელო იქნება სამეცნიერო ორგანიზაციებისათვის და ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. ახალი რუკა გახდება საერთო გეოგრაფიული საფუძველი ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შესასწავლად; იგი გამოყენებულ იქნება როგორც საფუძველი ამავე მასშტაბის სპეციალიზებული რუკების — გეოლოგიური, ნიადაგობრივი და ბოტანიკური რუკების შესადგენად. შემდეგში „მილიონიანი მასშტაბის" რუკა აგრეთვე გახდება ძირითადი გეოგრაფიული მასალა უფრო მცირე მასშტაბის დაზუსტებული რუკების შესადგენად. „მილიონიანი მასშტაბის" რუკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება სამოქალაქო ავიაციის საჭიროებისათვის.

ახალი რუკის შედგენაში მონაწილეობას იღებენ თბილისის № 8 კარტოგრაფიული ფაბრიკის მუშაკები. რუკის შედგენის დამთავრება განზრახულია 1942 წელს. (საქდესი).

მუშსოფლკორთა კაბინეტში

(ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული, ოთახი 17).

კედლის გაზეთების რედაქტორებისა, სარედაქციო კოლეგიების წევრებისა და მუშსოფლკორებისათვის „კომუნისტის" რედაქციაში ყოველდღიურად ტარდება კონსულტაციები და საუბრები ძირეული პრესის მუშაობის საკითხებზე.

მსურველებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები და დაესწრნენ საუბრებს ყოველდღე, დილის 11 საათიდან 5½ საათამდე და საღამოს 8 საათიდან ღამის 11 საათამდე.

ძირეული პრესის მუშაკთა და მუშსოფლკორთა დასახმარებლად გაზ. „კომუნისტის" რედაქციამ გამოუშვა ბიულეტენი № 1.

მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს ბიულეტენის მიღება შეუძლიათ უფასოდ. გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებულ მუშსოფლკორთა კაბინეტში დილის 11 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 9-დან 12 საათამდე.

დოქტორ ვ. ლ. რიჟკოვის ლექციების ციკლი

5-დან 11 მაისამდე, საღამოს 7 საათიდან, ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (პირველი კორპუსი, აუდიტორია № 41) ტარდება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პროფესორის, დოქტორ ვ. ლ. რიჟკოვის ლექციების ციკლი შემდეგ თემაზე: „ვირუსოვან ავადმყოფობათა პრობლემა და მცენარეთა ვირუსოვანი ავადმყოფობანი".

ფეხბურთი

„ლოკომოტივის" მეორე დამარცხება

6 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა თბილისის „ლოკომოტივისა" და ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელთა საჩვენებელი გუნდების მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. მატჩი დამთავრდა ლენინგრადელების გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

დღეს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგება მორიგი მატჩი. ითამაშებენ თბილისისა და ლენინგრადის „დინამოს" საჩვენებელი გუნდები.

* * *

6 მაისს კიევში და სტალინგრადში შესდგა ფეხბურთელთა გუნდების მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე. სტალინგრადში ადგილობრივ „ტრაქტორს" ეთამაშა 1939 წლის სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი"— მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1. კიევში მოსკოვის „ლოკომოტივმა" დაამარცხა კიევის „დინამო" ანგარიშით 3:1.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

9 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. ფრიშენბერგის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: მცირე ქვეყნები და ნეიტრალიტეტი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **ოქტომბერი** — „მეთაურის ახალგაზრდობა", **დამკვრელი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **კომკავშირელი** — „მეზღვაურები", **სპარტაკი** — „მეგობრები". **ლუქსემბურგის სახ.** — „მთის ნაკადი", **26 კომ. სახ.** — „მთის ნაკადი", **კომინტერნი** — „ჩემი უნივერსიტეტები", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „სოროჩინის ბაზრობა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო კომიტეტი რესპუბლიკურ გამოფენისათვის

იძენს აკაკი წერეთლის ავტოგრაფებს, პორტრეტებს, სურათებს, აკაკის ნაქონ ნივთებს, აკაკის თანამედროვე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტებს, აგრეთვე ძველ ჟურნალ-გაზეთებს. ხელნაწერებს და ყოველგვარ სამუზეუმო მასალას.

მისამართი: საქართველოს სახელმწ. ლიტერატურული მუზეუმი, ჯორჯიაშვილის ქ. № 8, ტელეფონი 3-56-67.

მასალების მიღება სწარმოებს ყოველდღე დილის 1—4 ს. აგრეთვე გამოსასვლელ დღეებშიც. ამხ. **მიხეილ ლობჟანიძესთან.** 108

საქ. ს. ს. რ. შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველო

აცხადებს,

რომ 1940 წ. 1 მაისიდან 20 ივნისამდე, ყოველდღე 9-დან 17 საათამდე, გამოსასვლელი დღეების ჩათვლით იწარმოებს ავტო-მანქანისა და რეზინის სვლიანი ტრაქტორების და მოტოციკლების ნახევარწლიური ტექნიკური შემოწმება, ამასთანავე იმ ავტო-მეურნეობებში, სადაც მანქანების რიცხვი 5 ერთეულს აღემატება, შემოწმება იწარმოებს ადგილობრივ გარაჟებში, ხოლო იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ ავტო-მოტორიანი სპორტი 5 ერთეულზე ნაკლები რაოდენობით, უნდა წარუდგინონ იგი შესამოწმებლად თბილისში მუშურ-გლეხურ მილიციაში სამმართველოს ცხენოსანთა დივიზიონს (საბურთალო), საქართველოს სხვ რაიონებში კი—რაიონულ სახ. ავტოინსპექციებს.

რემონტში (ურეზინოდ) ან მივლინებაში მყოფ ავტომანქანებზე ავტომეურნეობანი ვალდებულნი არიან ზემოთ აღნიშნულ ვადაში წერილობითი ცნობა წარუდგინონ საქართველოს სახ. ავტოინსპექციას, ძერჟინსკის ქუჩა № 22-ში.

ავტო-მოტოტრანსპორტის ტექნიკურ შემოწმებაზე წარდგენისას აუცილებლად საჭიროა თან იქონიონ: 1) მანქანის პასპორტი, 2) სახ. ბანკის საქალაქო განყოფილების ქვითარი იმის შესახებ, რომ 12-ტე §-ის მე-17-ტე კარის მიხედვით გადახდილია თვითეული მანქანის ტექნიკური შემოწმებისათვის 5 მანეთი და თვითეულ მოტოციკლისა 3 მანეთი, 3) ცნობები იმ სახალხო კომისარიატის შესახებ, რომელსაც დაწესებულება ექვემდებარება და 4) კილომეტრთა რაოდენობა, რაც აქვს თვითეულ მანქანას შემოწმების დღისათვის განვლილი.

ის ავტომეურნეობანი, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ წარადგენენ მანქანებს შესამოწმებლად, ან არ აცნობებენ სახ. ავტოინსპექციას, რომ მათი მანქანები რემონტში ან მივლინებაშია, ან და ურეზინოდ დგანან, დაჯარიმებული იქნებიან 300 მანეთამდე.

საქ. შსკ. მ/გ. მილ. სამმარ. უფროსი სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **გუჯაბიძე.**

1031 სახ. ავტოინსპექციის უფროსი მილიც. ლეიტენანტი **ხოროშილოვი.**

შალვა და თამარ ცირილაძეები, ციალა ტყაბლაძე იუწყებიან

ვახტანგ (ხუტუნა) ბარათაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/V 6½ ს. რკინიგზის საავადმყოფოს პროზექტურაში. გამოსვენება იქიდანვე 9/V 5 ს. ვერის სასაფლაოზე. 6229

ცოლი ლიზა, შვილები ეუნია, ოლია ჯაფარაშვილები, რძალი სონა შვილებით, ძმები, ცოლისძმა ცოლშვილით იუწყებიან

გიგუცა (გიორგი) ზაქარიას-ძე ჯაფარაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/V ქ. ხაშურში. 6221

ცოლი ქსენია, ძმები გიორგი (შალიკო), ავთანდილ, და თამარ ჩოგოვაძეები, სიძე მიხეილ ცაგარელი იუწყებიან

აბესალომ ალექსის-ძე ჩოგოვაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 9/V 5 ს. კალინინის, 64. 6226

ცოლი მართა, შვილები შალიკო, თამარ, ქსენია, სიძე მოსე ჩულუხია, შვილიშვილები გივი, დალი, ნინო იუწყებიან

რაჟდენ მაქსიმეს-ძე სადრაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/V ს. შემოქმედში. (გურია). 6222

ლექტორიუმის დირექცია
აცხადებს,
რომ პროფ. მ. გოგიბერიძის
მორიგი ლექცია, დანიშნული
8 მაისს,
შესდგება 14 მაისს საქ. მუზეუმის სალექციო დარბაზში
(ფურცელაძის ქ. № 1). 6230

დედა ნატალია შანიძე იუწყება საყვარელი შვილის

სერგოს

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/V, გამოსვენება ქალაქის პირველ საავადმყოფოდან 4 ს.

თბილისის მე-20 საშუალო სკოლის დირექცია და მასწავლებლები იუწყებიან ამავე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის

გივი ჟიჟიძის

გარდაცვალებას. 6215

მშობლები მამო, სამა, მამიდები სალომე, მარი ხიმშიაშვილები იუწყებიან

ლამარას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9/V 8 ს. ობოლაძის, 13. 6228

გამომცემლობა „კომუნისტის" მუშა-მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ი. ე. გოლდშტეინს მისი ძმის

აბრამ ევსევის-ძე გოლდშტეინის

გარდაცვალების გამო.

დედა ნინო, და გუგულა, სიძე შოთა ფაჩუაშვილი იუწყებიან

ვახტანგ (ხუტუნა) სერგოს-ძე ბარათაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/V 6½ ს. რკინიგზის საავადმყოფოს პროზექტურაში. გამოსვენება იქიდანვე 9/V 5 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 6229

მშობლები ნატა, იასონ, ძმები რაჟდენ, ლევან ცოლშვილით, დები ტატიანა, შურა ქმარშვილით იუწყებიან

გოცუნა (იულია) ჭელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/V ს. ღანირში. 6224

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულის—3-57-61, პროპაგანდის და პრესის მოხილვის 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოს—3-73-40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3-80-83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3-80-84, წერილების—3-73-24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—176